

საქმიანობის შედეგები		
	31/12/2024	31/12/2023
საქმიანობის შედეგები		
ნეტო ამონაგები	13639949	13100207
საქონლის გაყიდვიდან	13638411	13093948
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	1538	6259
გაყიდვების თვითღირებულება	-11669987	-11235808
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	1969962	1864399
საერთო მოგება	0	243
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-871118	-701768
დასაქმებულთა ანაზღაურება	-48107	-21702
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	15850	54348
საპროცენტო შემოსავალი	0	0
საპროცენტო ხარჯი	-238690	-236499
იჯარის ხარჯი	-388391	-358989
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-1530456	-1264367
სულ საოპერაციო ხარჯები	439506	600032
საოპერაციო მოგება		
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	111	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	0	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	731	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	440348	600032
მოგების გადასახადის ხარჯი	-174	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	440174	600032
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	440174	600032
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1062300	704291
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	-250000
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	7977
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1502474	1062300
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0

შპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“ ს დირექტორი: ა ჩანესელიძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	97303	310287	247327
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	103636	118410	87543
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1206	0	3050
მარაგები	1217544	940383	917978
მზა პროდუქცია	1217544	940383	917978
სხვა	0	0	0
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	1547	657	920
ძირითადი საშუალებები	1218464	407922	259617
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2639700	1777659	1516435
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	16380	6610	24700
სავაჭრო ვალდებულებები	1087666	678072	751847
ანარიცხები	757	607	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	17582	14257	15369
საგადასახადო ვალდებულებები	14821	15794	20228
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	19	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
მრღებელი გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	20	0	0
სულ ვალდებულებები	1137226	715359	812144
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	0	0	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1502474	1062300	704291
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1502474	1062300	704291
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2639700	1777659	1516435
სულ მოკლევადიანი აქტივები	1421236	1369732	1255898
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1137226	692955	812144
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

შპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“ ს ღირებულებები: ა ჩანსელებიანი



ფულადი სახსრების მოძრაობა		
ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	202637	417008
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-415621	-104048
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	0	-250000
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-212984	62960
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	0	0
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	310287	247327
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	97303	310287

შპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“ ს დირექტორი: ა ჩანქსელიანი



შპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“-ს ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2021 წლის 17 მაისს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერია B21047490 . მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 406330135, იურიდიული მისამართი - თბილისი, სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი № 101.ფაქტიური საქმიანობის მისამართი ქ. ფოთი ლარნაკას ჩიხი 1

კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად 2021 წლის 17 მაისს.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ბევრილი ჯგუფი“, ს/ნ 208215821.

1.3. კომპანიის დირექტორია ამირანი ჩანქსელიანი, (პ/ნ 53001052555).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით და თამბაქოს ნაწარმით.

1.5. კომპანია საანგარიშგებო პერიოდში ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა ქ. ფოთში

1.6. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი ან მეკავშირე საწარმოები.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და

ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის რეალური ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული

დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული საბანკო ანგარიშებზე და ნაღდი ანგარიშსწორება (ნავაჭრი) , სავაჭრო პუნქტებზე არსებულ სალაროებში , რაც ყოველი დღის ბოლოს შეტანილია საბანკო ანგარიშზე

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და

სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობები - 20 -30 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 10-12 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 1-5 წელი.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არისბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები, კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის

ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8068 ლარი; 1 EUR=2.9306 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	12321	10914
ლარი საბანკო ანგარიშებზე	84982	299372
სულ:	97303	310286

კომპანიას საბანკო ანგარიშები გახსნილი აქვს , სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“.

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

აღნიშნული მუხლი 2024 წლის ბოლოს მდგომარეობით მოიცავს:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის გაყიდვიდან რეზერვების გარეშე	103636	118410
სულ:	103636	118410

2024 წლის ბოლოსათვის კომპანიის გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნები შედგება, როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირების გადაუხდელი თანხებისაგან.(ძირითადად იურიდიული

პირებისგან)

3.3. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1192867	926837
სხვა მარაგი	22648	11530
საწვავ-საცხები მასალები	2023	2016
სულ:	1217544	940383

2024 წლის დასასრულს კომპანიის სხვა სასაქონლო მატერიალური ფასეულობები შედგება ძირითადად გასაყიდად გამიზნული საქონლისაგან, საწვავის და სხვა მარაგისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	
მიწის ნაკვეთი (არასასოფლო)	263345	202865	
შენობები	710725	55047	
ნაგებობები	10113	16138	
ოფისის აღჭურვილობა	482	0	
ავტო და სხვა ინვენტარი	216271	45297	
სატრანსპორტო საშუალებები	17527	2201	
არამატერიალური აქტივები /პროგრამა /	1547	657	
სულ:	1220010	322205	

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2024 წლის ბოლოს დაგროვილი ცვეთის ჯამი 48107- ლარი;

3.4. ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაცემი ხელფასები	17582	14257
სავალდებულო საპენსიო შენატანი	757	607
სულ:	18339	14864

3.5. ნეტო ამონაგები:

შემოსავალი	2024 წელი	2023 წელი
საქონლის რეალიზაცია	13638412	13094121
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17386	60677
სულ:	13655798	13154798

2024 წლის ამონაგები მთლიანად შედგება გაყიდული საქონლის რეალიზაციისაგან მიღებულ შემოსავლებით, რამაც შეადგინა (დღგ-ის გარეშე) – 13638412 ლარი. და სხვა არასაოპერაციო შემოსავალი დარიცხული%, უსასყიდლოდ მიღებული საქონელი 17386 ლარი

3.6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები:

რეკლამის ხარჯები	562.50
რეალიზაციის ა/სატრანსპორტო საშუალებების ხარჯი	1 107.12
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	3 158.09
დაფასოების ხარჯი	5562.62
სამეურნეო ხარჯი	14 204.13
ნოტარიული, იურიდიული და აუდიტის ხარჯი	56.04
საკასო აპრატის მომსახურება	4 789.01
კომუნიკაციის ხარჯები	11 712.69
დაზღვევა	1 303.22
რემონტი	3 584.91
კომპიუტერის ხარჯები	3 635.94
საჯარო რეესტრი და საკონსულტაციო ხარჯები	9 235.24
სხვა საგადასახადო ხარჯი	5 916.40
სხვა საერთო ხარჯი	1 179.14
ბანკის მომსახურების საკომისიო	87 445.95
საკანცელარიო ხარჯი	14 842.02
მივლინების ხარჯი	100.00
წყლის ხარჯი	1 349.76
დაცვის ხარჯი	23 248.70
საწვავისა და მანქანის რემონტის ხარჯი	28 665.26
ელექტრო ენერგიის ხარჯი	146 753.88
საფირმო მაღაზიების ხარჯი (პარკები)	13 011.09

დასუფთავების მოსაკრებელი	5 446.08
გაზის ხარჯი	420.43
აზომვითი ტოპოგრაფიული მომსახურება	1 100.00
სულ ჯამი	388391 ლარი

3.7. კაპიტალი საანგარიშო პერიოდის ბოლოს:

კომპანიის კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შეადგენს 1502363 ლარს.

3.8. საანგარიშო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიაში 2024 წელს არ განხორციელდა დაგროვილი მოგების განაწილება დივიდენდის სახით.

3.9. სასამართლო დავები

კომპანიას 2024 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენა იქონია მხარეთა შორის არსებულმა ურთიერთობებმა.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 27 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

მპს „ბევრილი რითეილ ჯგუფი“ ს დირექტორი: ა ჩანესელიანი

29.09.2025 წ

